ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპორტული საქონელისა და მოწყობილობების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

სავარაუდო ღირებულება - 2500.00 ლარი

CPV 37400000

1. ტექნიკური დავალება

1.1. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს თსუ-ს მშვილდოსანთა გუნდისთვის სპორტული საქონელისა და მოწყობილობების მოწოდება დანართი N1–ის მიხედვით მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

დანართი #1

2013 წლის _____ _____

№_____ ხელშეკრულება

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის პარამეტრები და ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით	საერთო ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით
1	**მშვილდის ისრები**	მასალა კარბონი ACE430	12		
2	**მშვილდის ისრები**	მასალა კარბონი ACE520	24		
3	**ისრის ფრთები**	სიგრძე: 2” მასალა: პლასტმასი ფერი: ყვითელი	150		
4	**მშვილდოსნობის წებო ფრთებისთვის**		3		
5	**მშვილდოსნობის სათითე**	მასალა: ალუმინი, ტყავი.	3		
6	**ისრის ბოლოები**	მასალა: პლასტმასი ფერი: მწვანე	50		

7	**ისრის წვერები**	მასალა: ალუმინი	36		
ჯამი:					

პრეტენდენტი:———————————

უფლებამოსილი პირის ხელის მოწერა: ———————————

ბ.ა.

შენიშვნა:
მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

2. ანგარიშსწორების პირობები:

2.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

2.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. საქონლის მოწოდების პირობები და ვადები:

3.1 მიმწოდებელმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.

4. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა)რეკვიზიტები(ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის პირის სახელი, გვარი), სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2–ის შესაბამისად.

ბ) ფასების ცხრილი სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მიხედვით.

გ)პრეტრენდენტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ ტენდერში, ავტომატურად ეთანხმება ინფორმაციას ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ (სატენდერო დოკუმენტაციის მე-2 პუნქტი) და ინფორმაციას მიწოდების ადილი, პირობები და ვადების შესახებ (სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 პუნქტი).

5. ალტერნატიული შემოთავაზება არ განიხილება

6. ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული დანართი №1–ის შესაბამისად.

7. დამატებითი ინფორმაცია

7.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

7.2 ხელშეკრულების ფორმა და პირობები პროექტის სახით მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

7.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი დავით გაბრიაძე; ტელეფონი: 2 22 78 62, 577–14–33–15;

დანართი N2

1. რეკვიზიტები:

   პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: ———————————————

   ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი: ———————————————

   პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: ———————————————

   პრეტენდენტის ტელეფონისN, ფაქსისN, ელ–ფოსტის მისამართი: ———————————

   საიდენტიფიკაციო კოდი: ———————————————————————————

   ბანკი და ბანკის კოდი: ———————————————————————————

   ანგარიშსწორების ანგარიში: ———————————————————————————

2. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე

პრეტენდენტი:———————————

უფლებამოსილი პირის ხელის მოწერა: ———————————

ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი **2013 წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ——————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ მაღლივი კორპუსის სპორტული დარბაზისათვის სპორტული საქონელისა და მოწყობილობების (CPV37450000) შესყიდვა.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის აღწერილობა განისაზღვრება ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ——————— შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

3.2. მოსაწოდებელი საქონლის ერთეულის და საერთო ფასი განისაზღვრება ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის – ფასების ცხრილი (დანართი N1) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი ——————————— მიმწოდებელი ———————————

3.3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს თსუ–ს ინსპექტირების ჯგუფი და/ან კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის ან ნაკლის არ აღმოფხვრის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით.

7. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

7.1 საქონლის მიწოდების ადგილია ჭავჭავაძის გამზ. #1.

7.2 მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია. 9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი ————————————— მიმწოდებელი ————————————

9.4 ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

დანართი N3

აფიდავიტი

სატენდეროწინადადებისდამოუკიდებლადგანსაზღვრისთაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევევადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

*მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.